განახლებულია 01.05.2026 წ.

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**ფილოსოფია/Philosophy**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	**პირველი ნაწილი:** ფილოსოფიის მაგისტრი/Master of Philosophy **მეორე ნაწილი:** კვლევის მაგისტრი ფილოსოფიაში /Research Master in Philosophy
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	ლალი ზაქარაძე, პროფესორი - lali.zakaradze@bsu.edu.ge ვარდო ბერიძე, ასოცირებული პროფესორი - vardo.beridze@bsu.edu.ge
პროგრამის სტრუქტურა/ECTSმოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი №1)	პირველი ნაწილი - 60 ECTS მეორე ნაწილი - 60 ECTS
სწავლების ენა	ქართული ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	**პირველი ნაწილი** ✓ საერთო სამაგისტრო გამოცდა; ✓ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები: ინგლისური ენა - B2 დონე და სპეციალობა; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა; ✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით. **მეორე ნაწილი** ✓ პროგრამის I ნაწილის დასრულება; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა; ✓ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და უცხოური განათლების მქონე პირთა ჩარიცხვა საქართველოს კანონმდებლობითა და ბსუ-ს რეგულაციების შესაბამისად.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	**პირველი ნაწილი** ✓ მოდულებიდან ერთობლივად მაგისტრანტს მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა: ფილოსოფიის უახლესი მიღწევებისა და კვლევის შედეგების შესახებ, ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში დასავლური ფილოსოფიური აზროვნების მრავალმხრივი კვლევის შედეგებზე; ახალი დროის ქართული

	ფილოსოფიის სპეციფიკის, მაკონსტრუირებელი პრინციპების, მეთოდოლოგიური მიდგომების და პრიორიტეტული დარგების, ევროპული ფილოსოფიის ტრადიციების ათვისების, გააზრებისა და გადააზრების, რეცეფციისა და ტრანსფორმაციის გზების შესახებ. ეთიკის თანამედროვე დარგების, თეორიებისა და მიმდინარეობების აქტუალური საკითხებზე. პოლიტიკური ფილოსოფიის საკვანძო ცნებების და ფენომენების, აქტუალური საკითხების, ძირითადი პარადიგმების, კლასიკური და თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფიის ტენდენციების, მედიისა და ძალაუფლების, ფემინისტური პოლიტიკური ფილოსოფიის, ადამიანის უფლებათა ფილოსოფიის აქტუალური პრობლემების შესახებ; ✓ მოდულებიდან ერთობლივად გააცნობიერებინოს ფილოსოფიის ისტორიის შესწავლის მნიშვნელობა თანამედროვე აზროვნებისთვის, დასავლური ფილოსოფიის ძირითადი მიმდინარეობების საეტაპო რეცეფციები საქართველოში; ქართულ კულტურაზე აღნიშნული მიმდინარეობების გავლენები და ამ გავლენების სისტემური კვლევა; ქართველ ფილოსოფოსთა კონცეფციები, რომლებმაც განსაზღვრეს ქართული ფილოსოფიის არსი და სპეციფიკა. თანამედროვეობაში ეთიკის სწავლების განსაკუთრებული აქტუალურობის განმაპირობებელი ფაქტორები, თანამედროვე ეთიკური თეორიებისა და ფასეულობების კრიზისთან, მორალური ღირებულებების გადაფასებასთან დაკავშირებული მიზეზები. ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე პოლიტიკური ფილოსოფიის კლასიკური თეორიების წარმომოშობის გარემოებები და ამ თეორიების როლი საზოგადოების გარდაქმნის ხანგრძლივვადიანი პერსპექტივების შემუშავებასა და რეალიზაციაში მოდულებიდან ერთობლივად დააუფლოს შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის ინტერესებიდან გამომდინარე არგუმენტირებული დასკვნების გამოტანის, დისკუსიებსა და დებატებში ჩართულობის, კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების უნარებს. ✓ მოდულებიდან ერთობლივად ჩამოაყალიბოს უნივერსიტეტის სტარტეგიული გეგმისა და მისიიდან გამომდინარე, ლიბერალური პრინციპებისა და დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი, მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის მქონე თავისუფალი პიროვნება, აქტიური მოქალაქეობისა და მომავალი კარიერისთვის, შრომის ბაზარზე ორიენტირებული სპეციალისტის მახასიათებლებით, რომელიც შეძლებს ადგილის დამკვიდრებას საგანმანათლებლო და დასაქმების სხვადასხვა სფეროში, ასევე სწავლის გაგრძელებას შემდეგ საფეხურზე. **მეორე ნაწილი** მოდულებიდან ერთობლივად: ✓ მაგისტრანტებს მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა ფილოსოფიური კვლევის მეთოდოლოგიის, ფილოსოფიის უახლესი მიღწევებისა და კვლევის შედეგების შესახებ, ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში დასავლური ფილოსოფიური აზროვნების მრავალმხრივი კვლევის შედეგებზე; ახალი დროის ქართული ფილოსოფიის სპეციფიკის, მაკონსტრუირებელი პრინციპების, მეთოდოლოგიური მიდგომების და

	პრიორიტეტული დარგების, ევროპული ფილოსოფიის ტრადიციების ათვისების, გააზრებისა და გადააზრების, რეცეფციისა და ტრანსფორმაციის გზების შესახებ. ეთიკის თანამედროვე დარგების, თეორიებისა და მიმდინარეობების აქტუალური საკითხებზე და კვლევის მეთოდიკაზე. პოლიტიკური ფილოსოფიის საკვანძო ცნებების და ფენომენების, აქტუალური საკითხების, ძირითადი პარადიგმების, კლასიკური და თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფიის ტენდენციების, მედიისა და ძალაუფლების, ფემინისტური პოლიტიკური ფილოსოფიის, ადამიანის უფლებათა ფილოსოფიის აქტუალური პრობლემების შესახებ; სამეცნიერო ტექსტის წერის საერთაშორისო პრინციპების, კვლევითი, საკვალიფიკაციო ნაშრომის შინაარსობრივი მოთხოვნებისა და ტექნიკური სტანდარტების, უნიფიცირებული და ბსუს აკადემიური სტილის შესახებ; ✓ გააცნობიერებინოს ფილოსოფიური კვლევის მეთოდთა შესწავლის მნიშვნელობა თანამედროვე აზროვნებისთვის, პოლიტიკური ფილოსოფიის კვლევის მეთოდოლოგია; ✓ დააუფლოს შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის ინტერესებიდან გამომდინარე დარგისთვის დამახასიათებელ მეცნიერული კვლევის მეთოდებს, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის აუცილებელ პრაქტიკულ უნარ–ჩვევებს, არგუმენტირებული დასკვნების გამოტანის, დისკუსიებსა და დებატებში ჩართულობის, კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების უნარებს. ✓ ჩამოაყალიბოს უნივერსიტეტის სტარტეგიული გეგმისა და მისიიდან გამომდინარე, ლიბერალური პრინციპებისა და დემოკრატიული ღირებულებების მატარებელი, მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის მქონე თავისუფალი პიროვნება, აქტიური მოქალაქეობისა და მომავალი კარიერისთვის, შრომის ბაზარზე ორიენტირებული სპეციალისტის მახასიათებლებით, რომელიც შეძლებს ადგილის დამკვიდრებას საგანმანათლებლო და დასაქმების სხვადასხვა სფეროში, ასევე სწავლის გაგრძელებას შემდეგ საფეხურზე.
სწავლის შედეგები	**პირველი ნაწილი** ✓ ცოდნა და გაცნობიერება: კურსდამთავრებული ფლობს ღრმა და სისტემურ ცოდნას (მოდულებიდან ერთობლივად): ფილოსოფიის ისტორიის, როგორც მეცნიერების, ევროპული და ქართული ფილოსოფიის, ეთიკისა და პოლიტიკური ფილოსოფიის მიმდინარეობების შესახებ, ახალი დროის ქართული ფილოსოფიის სპეციფიკის, ევროპული ფილოსოფიური აზროვნების და ქართველ ფილოსოფოსთა ნაშრომებში გატარებული ევროპული იდეების, თვალსაზრისებისა და ინტერპრეტაციების, კვლევის შედეგების შესახებ; ეთიკის თანამედროვე დარგებისა და ძირითადი კონცეფციების, ეთიკისა და ფილოსოფიური ანთროპოლოგიის, ბიოეთიკის, როგორც ინტერდისციპლინური მეცნიერების პრობლემებისა და დილემების შესახებ; პოლიტიკური ფილოსოფიის საკვანძო ცნებების და ფენომენების, ძირითადი პარადიგმების, კლასიკური პოლიტიკური ფილოსოფიის არგუმენტაციის და რეცეფციის, ფემინისტური პოლიტიკური ფილოსოფიის აქტუალური პრობლემების შესახებ.

	✓ აცნობიერებს (მოდულებიდან ერთობლივად): ევროპული ფილოსოფიის საკვანძო თემებს, ფილოსოფიის უმნიშვნელოვანეს ისტორიოგრაფიულ კონცეპტებსა და კატეგორიებს, რეცეფციისა და ტრანსფორმაციის როლს ახალი დროის ქართულ ფილოსოფიაში, ალეთეიოლოგიის ადგილს XX საუკუნის დასავლურ ფილოსოფიაში, ევროპული ფილოსოფიის ძირითადი მიმდინარეობების საეტაპო რეცეფციებს საქართველოში; თანამედროვეობაში ეთიკის სწავლების განსაკუთრებული აქტუალურობის განმაპირობებელ ფაქტორებს, ზნეობრივი პრინციპების, ნორმებისა და წესების პრიორიტეტულობას თანამედროვე პოსტმოდერნულ სამყაროში, ეთიკის პრაგმატულ მნიშვნელობას, მის კავშირს მეცნიერების სხვადასხვა დარგებთან, მორალისა და ქმედითი პოლიტიკის მიმართების საკითხებს. ეთიკისა და პოლიტიკური ფილოსოფიის საზღვრითი პრობლემების ურთიერთმიმართების სპეციფიკას, პოლიიკური ფილოსოფიის აქტუალურ საკითხებს, პრობლემებსა და პერსპექტივებს, მათ შესახებ საჯარო დებატებსა და ძირითად მიდგომებს; პოლიტიკური ფენომენების (დემოკრატიის, ძალაუფლების, და სხვ.) ცოდნის მნიშვნელობას თანამედროვე ადამიანის სააზროვნო ველში, მათი ჩამოყალიბების ისტორიულ კონტექსტებს, მათ ფილოსოფიურ საფუძვლებს, ფემინისტური პოლიტიკური ფილოსოფიის აქტუალურ პრობლემებს. ✓ ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ (კომპლექსურად მოდულებიდან) კურსდამთავრებული ✓ ახდენს: ფილოსოფიის ისტორიის, როგორც მეცნიერების, ევროპული და ქართული ფილოსოფიის, ეთიკისა და პოლიტიკური ფილოსოფიის საკვანძო საკითხების ღრმა და სისტემურ ანალიზს;ევროპული და თანამედროვე ქართული ფილოსოფიის, ეთიკისა და პოლიტიკური ფილოსოფიის სფეროში კაცობრიობის მიერ შეძენილი გამოცდილების ათვისების საფუძველზე თანამედროვეობის აქტუალური პრობლემების გაგებას. ✓ აყალიბებს: საკუთარ მოსაზრებებს ლოგიკურად, თანმიმდევრულად და არგუმენტირებულად; ფილოსოფიის ისტორიულ კონცეპტებს საკუთარი შეხედულებების დაცვისას, პრო - და კონტრაარგუმენტებს; ღიაობას კრიტიკისა და ოპონირებისადმი; ზნეობრივ-პოლიტიკური მოვლენების ისტორიულ ხედვასა და კრიტიკულ შეფასებას; ✓ განვითარებული აქვს (კომპლექსურად ყველა მოდულიდან): ინდივიდუალური, თავისუფალი მოღვაწეობის შესაძლებლობანი, ფილოსოფიური პრობლემების დამოუკიდებლად იდენტიფიცირებისა და ინტერპრეტაციის უნარი; სწავლების შემდეგ საფეხურზე სწავლის დამოუკიდებლად წარმართვისა და განხორციელების უნარი; ✓ პასუხისმგებლობა და ავტონომია: პატივს სცემს ჰუმანიზმისა და დემოკრატიის მაღალ იდეალებს, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების როლსა და მნიშვნელობას საყოველთაო მშვიდობის დამკვიდრების პროცესში;

	✓ იცავს თავისუფალი პიროვნების ქცევისადმი წაყენებულ პროფესიულ ეთიკურ სტანდარტებს, აკადემიურ ღირებულებებით ასპექტებს (მიუკერძოებლობა, შეუვალობა, თანასწორობა, კომპეტენცია და გულისხმიერება), თავადაც ახორციელებს მას თავის თეორიულ თუ პრაქტიკულ საქმიანობაში და საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობს აღნიშნული ღირებულებების დამკვიდრებაში; გეგმავს და მართავს სამუშაო დროს; **მეორე ნაწილი** ✓ კურსდამთავრებული ფლობს ღრმა და სისტემურ ცოდნას (მოდულებიდან ერთობლივად): ფილოსოფიის ისტორიის, როგორც მეცნიერების, ევროპული და ქართული ფილოსოფიის, ეთიკისა და პოლიტიკური ფილოსოფიის მიმდინარეობების შესახებ, რაც მას ახალი იდეების შემუშავებისა და გარკვეული პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობას აძლევს. ფილოსოფიური კვლევის თანამედროვე მეთოდებზე, სამეცნიერო ნაშრომის ფორმატისა და შედგენილობის, სტრუქტურისა და არქიტექტონიკის შესახებ; ✓ აცნობიერებს (მოდულებიდან ერთობლივად): ფილოსოფიური კვლევის მეთოდიკის/მეთოდების მნიშვნელობასა და ფუნქციას ფილოსოფიური აზროვნების განვითარება/გაღრმავების პროცესში.სამეცნიერო კვლევებში მეცნიერული ეთიკის კრიტერიუმებს; სამეცნიერო კვლევისთვის დარგის უახლესი მიღწევებისა და მეთოდების მნიშვნელობას. ✓ აყალიბებს:საკუთარ მოსაზრებებს ლოგიკურად, თანმიმდევრულად და არგუმენტირებულად; ფილოსოფიის ისტორიულ კონცეპტებს საკუთარი შეხედულებების დაცვისას, პრო - და კონტრაარგუმენტებს; ღიაობას კრიტიკისა და ოპონირებისადმი; სამეცნიერო-კვლევითი თემის განსაზღვრის, კვლევის დაგეგმვის და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დამოუკიდებლად განხორციელების უნარს; აკადემიური პატიოსნების, სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით, საკუთარი კვლევის შედეგების პრეზენტაციისა და დაცვის უნარს რეფერატის, ესსეს, სამეცნიერო სტატიისა და სამაგისტრო ნაშრომის სახით. ✓ ამუშავებს: ფილოსოფიურ ტექსტებსა და წყაროებს ფილოსოფიის კვლევითი მეთოდოლოგიის გამოყენებით და გეგმაზომიერად იყენებს შესაბამის კვლევით მეთოდებს დაგეგმილ სამეცნიერო საქმიანობაში; ✓ განვითარებული აქვს (კომპლექსურად ყველა მოდულიდან): სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვის და დამოუკიდებლად წარმართვის, მასზე პასუხისმგებლობის აღების უნარი; ინდივიდუალური, თავისუფალი მოღვაწეობის შესაძლებლობანი, ფილოსოფიური პრობლემების დამოუკიდებლად იდენტიფიცირებისა და კვლევის, ახალი იდეების შემუშავებისა და ინტერპრეტაციის უნარი; სწავლების შემდეგ საფეხურზე სწავლის დამოუკიდებლად წარმართვისა და განხორციელების უნარი;

	✓ პატივს სცემს ჰუმანიზმისა და დემოკრატიის მაღალ იდეალებს, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების როლსა და მნიშვნელობას საყოველთაო მშვიდობის დამკვიდრების პროცესში; ✓ იცავს თავისუფალი პიროვნების ქცევისადმი წაყენებულ პროფესიულ ეთიკურ სტანდარტებს, აკადემიურ ღირებულებებით ასპექტებს (მიუკერძოებლობა, შეუვალობა, თანასწორობა, კომპეტენცია და გულისხმიერება), თავადაც ახორციელებს მას თავის თეორიულ თუ პრაქტიკულ საქმიანობაში და საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობს აღნიშნული ღირებულებების დამკვიდრებაში; გეგმავს და მართავს სამუშაო დროს, შეიმუშავებს სტრატეგიულ მიდგომებს კვლევასთან მიმართებით, ნაშრომის მოსამზადებლად.